წელიწადი მეორე. № 3. 19 იანვარი 1878 წ.

# ივერია

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა გაგზავნით დ გაუგზავნელად 7 მ.
თითო ნომერი . . . . . . . . . . . 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

საქ. რესპ. მუზეუმის ბიბლიოთეკა
БИБЛИОТЕКА Муз...

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### გამოდის ხუთშაბათობით

გაზეთი **ივერია** გამოვა **1878** წელს იმავე სახით, იმავე პროგრამმით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება დილის ათის საათიდამ ნაშუადღევის ორს საათამდე ტფილისში, «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლების ზემოდ, ქანანოვის სახლში, **№ 5.**

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი «ივერია» ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІЯ.**

**სარჩევი** I. საქართველოს მატიანე („ივერიის“ კორრესპონდენციები): — ზოგიერთი მასწავლებელი — საგარეჯო—სურამი. II. საპოლიტიკო მიმოხილვა. III. შერიგების თაობაზედ ხმები. IV. ომის ამბები. V. საქართველო, (ისტორიული და ეტნოგრაფიული გამოკვლევა). VI. უბინაო კაცი ნიუიორკში (მოთხრობა).

## საქართველოს მატიანე

### („ივერიის“ კორრესპონდენციები)

**ზოგიერთი მასწავლებელი.** ამ უკანასკნელს სამიოდე წელიწადში ძრიელ გაიღვიძა ჩვენში და ნამეტნავად კახეთში შკოლების საქმემ. რომ ჩვენმა გლეხებმა დიდი სურვილი გამოიჩინეს სწავლისა, ეს ცხადია, მაგრამ ვაი რომ საწყალს გლეხობას ვერ უსრულდებათ კეთილი სურვილი. ამის მიზეზი ის არის, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენის სოფლის შკოლების ოსტატებისა მოუმზადებელია თავისის საქმისათვის. აი მაგალითები, რომელნიც ცოტად თუ ბევრად გვაჩვენებს, თუ რამოდენად თავის ადგილას ეხლანდელი არიან სოფლის შკოლის ოსტატები.

ნაფარეულის მასწავლებელი უფ. წერეთელი სრულებით ტყუილად იღებს ჯამაგირსაო და არას ასწავლის ყმაწვილებსაო, ამბობდა ამას წინად ერთი კორრესპონდენტი. ეს არამც თუ მართალია, არამედ ძრიელ ცოტა არის, რაც კი უნდა ითქვას უფ. წერეთელზედა. ეს უფალი არა სჯერდება მარტო იმას, რომ ითვლება ნაფარეულის მასწავლებლად (თუმცა თავის შკოლისათვის ისეთივე სასარგებლო პირია, როგორც ცხრა მთას იქით მცხოვრები კაცი ნაფარეულის შკოლისათვის). ამას მოუკიდნია ხელი ნაფარეულის სასოფლო ბანკისათვისაც. ორ კურდღელს გამოსდგომია უფ. წერეთელი, მაგრამ ორივე ხელიდგან წასვლია. გარდა ამისა სხვა და სხვა მანქანება სხვა და სხვა პირების შუა ერთმანეთზედ გადაკიდება, — აი წერეთელის გულითადი და საყვარელი საქმე. უნდა გსთქვათ ისიც, რომ ყოველივე ესე ამცირებს მასწავლებელს ხალხის თვალს წინ და უკარგავს ყოველს გავლენასა. მისი მეზობელი ფშავლის მასწავლებელი უფ. ბადუროვი არ არის შორს წასული თავის ამხანაგზედ არც ზნეობითა და არც თავითა. წარმოიდგინეთ მასწავლებელი, რომელიც ახალი გადმოვარდნილი—რუსის სალდათივით თავს იხრჩობს ღვინოში, სადაც კი შეხვდება! მე ნამდვილად ვიცი, ისე გახდება ხოლმე, რომ სანახავად ვერაფერია, როცა კი შეჰსწირავს

მსხვერპლსა თავის საყვარელს ღმერთს ბახუსსა. რაც შეეხება იმის ოსტატობის მოქმედებასა, საკმაოა გვსთქვათ, რომ საცხენისის სამხედრო შკოლიდგან გამოვარდნილისაგან (შეუსრულებლივ) და ბახუსის ერთი გულმხურვალე მოსამსახურესაგან ვინ უნდა მოელოდეს ხეირსა? ამასა ჰყავს შკოლაში ხუთიოდე ყმაწვილი, მაგრამ მედუქნეს რომ მიაბარონ ყმაწვილები ის უფრო ბევრსა და უკეთესადაც ასწავლის, მანამ ეს უფალი ფშავლის პესტალოცი.

მესამე იმათ მეზობელს ალვანის მასწავლებელს, თუმცა (სინიდისს ქვეშ ვიტყვი) არ ვიცი ზნეობა როგორი აქვს, მაგრამ შკოლა მისი კი სულაც ვერ დაჰხედავს მაღლიდგან ამპარტავნებით თავის ზემოთ მოყვანილის მეზობლების შკოლებსა და ვერას დაიქადებს იმათ წინა.

წავიდეთ ახლა თიონეთისაკენ. თიონეთის მასწავლებელი ქალი ღმერთმა შეინახოს! მცირედ ვინმე დაურჩა თიონეთში, რომ იმასთან ჩხუბი არ მოჰხდენოდეს როგორც მე მახსოვს, „დროებაში“ იყო როდესღაც აღწერილი იმისი ზნეობითი კითარება ვიდაც კორრესპონდენტისაგან. აქ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ ქალს ბაიათები და მრავალჟამიერი უფრო ეხერხება, მანამ მასწავლებლის ხელობა, და რომ ის სრულებით ტყუილად იღებს ჯამაგირსა და არას ასწავლის, ეს ცხადია, როგორც დღე. აშორებენ, ვითომც უ. ლიხაჩოვმა ყოველივე ესე იცის ამ ქალზედაო, რევიზიის დროს ცხადად დაინახა ამ ქალის უხეირობაო, მაგრამ ისეთი სახე მიიღო კი, თითქო აქ ცუდი არ არის რაო და კიდეც შენიშვნაში დაუწერაო: «ეტყობა, რომ საქმე უწარმოებია კეთილ სინიდისიანად» იქმნება უფ. ლიხაჩოვის ლექსიკონში ეს სიტყვა სხვას რასმეს ჰნიშნავდეს!.

რაც შეეხება ს. არტანის ოსტატს. (ს. არტანი არის თიონეთის მაზრაში თორმეტ ვერსტზედ თიონეთიდგან) უფ. კრუდლენკოს, ამაზედ უნდა გსთქვათ, რომ ამან გადააჭარბა ყოველს ჩამოთვლილს მასწავლებლებს თავისის სასარგებლო მოქმედებით. თუ როგორი სასოსტატო კაცია ეს უფალი; ამას ცხადად გვიჩვენებს ის გარემოება, რომ თავის შეგირდებს ოსტატი ცხვირპირიდამ სისხლს ადენს ხოლმე ცემით. მარტო სილებს კიდა ჩივის, მეორეთ გაუცოცხლებია ამ ახალ-მიმართულების მონა ჭედადოდს ნეტარ-ხსენებული ადრინდელი როზგის ხმარება! შეშინებულები ამ მტარვალის მასწავლებლისაგან, შეგირდები თითქმის ყოველ კვირა გარბიან შინა და ეუბნებიან თავიანთ დედ-მამასა, რომ თუნდა დაგვხოცოთ არ წავალთ შკოლაში, «უჩიტელი» გვცემსო. ამისთანა სწავლას ისევ ძროხაში და ცხვარში სიარული გვირჩევნიაო, მაგრამ ვინ არის ამ უბედურების ნებაზედ! გააგზავნინებს უფ. მასწავლებელი და სულ ცემა-ტყეპითა და ბლავილით მორეკავენ ხოლმე. უფ. მაზრის უფროსს რომ მოსწყინდა თურმე ყოველთვის ჩაფრების ძლევა შეგირდების მისარეკავათ, უფ. ლიხაჩოვს გამოეცხადა, რომ დაგვიხსენი ამისთანა მასწავლებლისაგანაო; ის სცემს შეგირდებსაო და იმისთვის ხალხი არ აძლევს თვის შვილებსაო. გარდა ამისა თვით უფ. ლიხაჩოვი დარწმუნდა რევიზიის დროს, რომ უფ. კრუდლენკო სრულებით არაფერს აკეთებს, მაგრამ ის ისევ თავის ალაგზედ არის შეგირდების ჭირათ და სულ იმას იძახის: «бывало хуже, съ рукъ сходило.»

აი, როგორს მასწავლებლებს უყურებს ჩვენი ხალხი; აი ის ქვეყნის განმანათლებლები, რომლებისაგანაც უნდა ხალხმა შეადგინოს აზრი სწავლის სარგებლობაზედა! ჯერ მღვდლებს აძლევინა ჩვენმა გლეხობამ ფულები (შკოლებისათვის,) და ვერაფერი სარგებლობა მიიღო, ახლა კიდევ ამისთანა სინიდისიან მასწავლებლებს შეჰყურებს. ის არის საკვირველი, რატომ გული არ გაუტყდა ჩვენს გლეხობას ამოდენა ქარაფშუტების ყურებაში და კიდევ მიიღვწის სწავლისათვის! როგორც ერთი „ივერიის“ კორრესპონდენტი მოგვითხრობს, ეხლა კახეთში ბევრი სოფელი შეეხვეწა რევიზორს შკოლები გაგვიმართეთო. საწყალი ჩვენი გლეხობა! თუმც ბევრსა ჰღვართლიან, ბევრს ატყუებენ იმისი უსინდისო მოსამსახურეები, მაგრამ ისევ იმას იძახის: არა უშავს რა, მოვითმენ, რაც ტყუილათ დამახარჯინეთო, ოღონდ კი ცოტა რამ მაინც მასწავლეთო. აი ეს არის, ერთი პოეტისა არ იყოს: „ერი პურადი, გულადი, მებრძოლი შავის ბედისა.“

აი კიდევ რასა მწერს ზაქათალის მაზრიდგან იქაურის სამოქალაქო სასწავლებლის ზედამხედველზედ ისეთი პირი, რომელსაც არა მაქვს არავითარი საფუძ-

ველი, რომ არ დაგუჯერო. „აქ არამხადობას უფრო ყველაზედ დიდი ადგილი უჭირავს: რაც სახელ შეწირვით არის ყმაწვილებზედ ფული დანიშნული, იმას ნახევარსაც არა ხარჯავს მათზედა—სულ თითონა ჰყლაპავს—ცოლით, ერთი ნახირის შვილებით და სხვა მჭამლებითურთ. ამ ორს წელიწადში უნდა გამოეცვალა შეგირდების ჭურჭელი ზედამხედველს ფულები მიეცა, მან იყიდა ახალი ჭურჭელი, მაგრამ... ზედამხედველმა სულ თავისთვის ხმარებაში დაამტვრია. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თითო ყმაწვილზედ არის დადებული 125 მანეთი, მაგრამ ამათ ლურჯ. მაუდის ბლუზისა და შავი უხეირო მაუდის პალტოს მეტი არაფერი აცვიათ, ხელსახოცების მაგივრად კი ეხლახან დაიწყო. მოსამსახურეებისათვის 800 მანეთი არის დანიშნული წელიწადში. მაგრამ აქამომდე მარტო ორი მოსამსახურე არის; ისიც ერთი იმათგანი პურს აცხობდა, მეორე კი მასწავლებლებს ემსახურება. ოთახების დაწმენდა და ლამპების რეცხვა კი კლასებში, სასადილოში და საძილე ოთახებში ყოველ დღე ყმაწვილების კისერი არის. დილით რომ შეხვალთ საძილოში, დაგხვდებათ ათიოდე იატაქის (პოლის) მრეცხელი ბავშვი. აბა ამათ საღ შეუძლიანთ იატაქების გარეცხვა, როდესაც ორთა შუა რიცხვით თოთხმეტი წლის მოსწავლეები არიან. ამიტომაც ამ სასწავლებელში ყველგან საშინელი მტვერი და ნაგავი არის. თითქმის შეგირდები შიგ იღრჩობიან. სიწმინდის მხრით ამ გაკლასხში არის სასწავლებელი, თუმცა 800 მანეთით თუნდა ათის მოსამსახურის დაჭერა შეიძლებოდა. მზვარეული მარტო ყმაწვილებს საჭმელს უმზადებს, დანარჩენს ყველაფერს თვითონ შეგირდებივე აკეთებენ. ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს ის, რომ აქაური მოწაფეები გარეგან შეხედულობით ფაბრიკებში ნამუშავარ ბავშვებს ჰგვანან. ყველა ამას ჯანი გავარდეს, ნეტავი სწავლა მაინც იყოს ხეირიანი! არც იმას ვინმე ინაღვლიდა, თუ ზედამხედველს რაც ფული რჩება, თვითონვე ინახავდეს და მდიდრდებოდეს. რაც ფული უვარდება, მაშინვე კლუბში გააქანებს და იქ ქაღალდის თამაშობაში მიჰფლანგავს ხოლმე!!.» ქვევით ამ წერილის ავტორი ამბობს, რომ ზედამხედველი ნუნუასაც ეწყობა თურმე და სხ. „ზედამხედველის მოწყალეობით წელს არც ერთი ჟურნალ-გაზეთი არ დაუბარებია სასწავლებელს (გარდა „კავკაზისა“(. იურმე ზედამხედველი იძახის, ფული დიდი ხანია გამიგზავნიათო და არ ვიცი, რატომ არ მოგვდისო. აქედან ხომ ცხადი სჩანს, საითაკ არის ფული გაგზავნილი? მოსამზადებელს კლასში ათიოდე წიგნის მეტი შეგირდებს სრულიად არაფერი აქვთ. ამაშიც დამნაშავეთ ხდის სოლომონ გართანოვს: იგი არა გზავნისო; აბა ამასობაში მასწავლებელმა რა თავში ქვა უნდა იხალოს და რითი უნდა ასწავლოს? დასასრულში უნდა გსთქვა, რომ ზედამხედველი ყოველთვის მასწავლებლებსა ჰხდის ხოლმე დამნაშავეთ, რომელნიც, სხვა რამეიქით იყოს, თავის დღეში გაკვეთილებს არ აკლდებიან. ყოველ-წლივ მათზედ ჩივის ხოლმე, როცა შკოლის ანგარიშს აძლევს მთავრობას, ამისთვის ისინი ძლიერ შეშინებულები არიან, და რასაც იგი ეუბნება მათ, ისინიც ყურმოჭრილი ყმებისავით ასრულებენ.

დ. რ.

---

**საგარეჯო.** რამდენჯერმე იყო გამოთქმული „ივერიის“ ფურცელზე და სხვა გაზეთებშიაც ივრის დამზოგველ-ამხანაგობის დაარსებაზე და ბოლო კი არა სჩანს, თუ რითი დაბოლოვდა საქმე. ამიტომ მსურს მის დაარსებაზე და საქმის წარმოებაზე დაწვრილებით მოგახსენოთ. ამსაზოგადოების ერილობა შესდგა ღვინობისთვის ათსა, ამოირჩიეს: გამგებელი და ზედამხედველი კამიტეტები. გამგებელს კამიტეტს მიანდეს, რომ უსათუოდ უნდა მაღაზია გაეღო იანვრის პირველს, 1878 წელსა. გამგებელის კამიტეტის წევრნი გულმოდგინეთ შეუდგნენ საქმეს, ყოველისფერი პირველ იანვრისათვის მოამზადეს, ივაჭრეს, მაგრამ სახლის პატრონს არაჰქონდა მომზადებული მაღაზია. საქონელი მოვიდა თუ. არა, ხალხში შეიქნა რაღაც ფაცა-ფუცი და თხოვნა დუქნის გახსნისა. გამგებელმა კამიტეტმა მაღაზიის გახსნა გადასდო რვას იანვრისთვის; მაგრამ ახალწელიწადს კი საახალწლო ხილებს და ზოგიერთ საჭირო ნივთებს დაუწყო სარდაფიდამ ყიდვა. ხალხი აღტაცებული იყო სიიაფეზე. პირველ დღეს ივაჭრა ხუთმეტის თუმნისა, მეორე დღეს, ექვსის თუმნისა— ამის შემდეგ რვა იანვრამდინ ექვს თუმანზე ნაკლები აღარ უვაჭრია დღეში. საკვირველად თანაუგრძნობს ხალხი, ბაზარში გლეხის ჩამი-ჩუმი აღარც კი იყო, სულ ამ მა-

ღაზის ეტანებოდნენ, მხოლოდ ზოგიერთნი გლეხნი კი, რომლებიც ნისიათ ეზიდებოდნენ ბაზრის დუქნებიდამ, განტი-კუნტად მიდიოდნენ ისევ ბაზარში. ბაზრელებს შეუდგათ ფაცა-ფუცი, ამათაც დასწიეს ფასებს და ხალხს სთხოვდნენ „აქეთ, აქეთო," მაგრამ ხალხი პასუხსათ აძლევდა, „მადლობა ღმერთს მოგშორდითო". რვა იანვარს შესდგა ყრილობა შკოლის სახლში. აქ თავსმჯდომარედ ამოირჩიეს უფ. ნიკოლოოზ ავალიშვილი. ყრილობამ განიხილა სხვა და სხვა საგანი. დილის თერთმეტის საათიდგან დაწყებულმა ყრილობამ გაათავა საქმე საღამოს ხუთ საათზედ. ყრილობის შემდეგ ხალხმა მღვდლები გაიძღოლა წინ და მივიდნენ ახლად გახსნილს მაღაზიაში. მანა მღვდლები პარაკლისს დაიწყობდნენ, წამოდგა ერთი გამგებელის კამიტეტის წევრთაგანი და წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა.

ამ სიტყვის შემდეგ შეიქნა ტაშის კვრა და ურა. შემდეგ დაიწყეს მღვდლებმა პარაკლისი, პარაკლისის შემდეგ ამავე ხალხის ფსონით სადილი გაიმართა შკოლაშივე. შკოლაში სუფრა ქართულათ იყო დამზადებული. მშვენიერი სანახავი იყო ეს სადილი, სწორეთ მეფე ერეკლეს დრო წარმოგვიდგებოდა, როდესაც ხალხს ერთმანეთი უყვარდა, ჭირს სჭამდნენ ერთმანეთისას და არ იყო წოდებათა შორის გარჩევა. აქაც თუმცა სხვა და სხვა წოდებისანი იყვნენ, თავადნი, მღვდელნი, აზნაურნი და გლეხნი, მაგრამ რაღაც მიმტაცებელი ერთობა ეტყობოდათ; მართლაც თითქო დღეს განთავისუფლდნენ მონებიდგანაო, თითქო მართლა დღეს დაამარცხეს მტერნი და გამარჯვებულნი გამოვიდნენო. თუ ამ თანაგრძნობამ და ერთობამ გასტანა და ერთმანეთში შურისძიება არავინ ჩამოაგდო, ამ ამხანაგობას უსათუოდ კარგი ნაყოფი ექნება. ღმერთო,—ფეხი გაუდგი ამ ამხანაგობას ჩვენში და მით აღადგინე ძირს დაცემული, გაჭირებისაგან გათახსირებული ჩვენი საცოდავი ხალხი.

ა. კავთელი.

1878 იანვრის 9 დღეს.

---

**სურამი** 8 იანვარს. საშინელი სუსხიანი ზამთარი დაგვიდგა. წრევანდელი ზამთარი გვაგონებს შარშანწინდელს მძიმე ზამთარსა. წრეულს ჩვენში ზამთარი დაიწყო ჯერ ქარით და ხმელის სიცივით, მერე გადავიდა თოვლზე. გადავიდა მაგრამ ხუმრობით კი არა! დღევანდელ დღემდისინ თითქმის ყოველ ღვთის განაჩენს დღეს ბარდნავს თოვლი—გეგონებათ მთა და ბარის გასწორების განზრახვა აქვსო...

მართალია, სურამში ყველას სახეზე კაეშნის დაღი აჩნია და სასაფლაოს მყუდროება მეფობს, მაგრამ მაინც ცოტად თუ ბევრად კმაყოფილი ვიყავით იმით, რომ ახლანდელის საქმეების აქოთებულობაში ჩვენ თითოსაც არავინ გვაკარებდა. საუბედუროდ, ეს უკანასკნელიც წაგვერთვა და გაგვიძვირდა: შემოგვეჩვია უფ. ტატო წულუკიძე და მალმალე გვესტუმრება. ამ ერთის თვის წინეთ დაეცა თავისის ამალით აქაურ მოხუცებულს მ., რომელთანაც ეგულებოდათ ფულები და კიდეც წაიღეს ათი თუმანი და თვითონ საწყალი მ. დასჭრეს, მაგრამ სასიკვდილოდ კი არა უშავს რა. განვლილის ქრისტეშობის თვის 28-ს შუაღამისას ანთებულის ფარნებით ხელში და „არაღოს" მახილით იგივე წულუკიძე თავისივე ამალით ესტუმრა აქაურ მდიდარს —მიხეილ ხანუმაშვილს. რო მიადგნენ მიუწვეველნი სტუმრები კარებს, დაუძახეს: „მიხა, სტუმრები არ გინდაო?" ხანუმაშვილს ეგონა მართლა სტუმრები იქნებიანო. (მატარებელიც მაშინ მოსულიყო.) მოდი და ნუ დაიჯერებ, კაცები სიმღერით მოდიან. როცა ხანუმაშვილმა კარი გაუღო სტუმრებს და სცნა ვინც იყვნენ, მაშინვე კარები მიკეტა თურმე და მოასწრო საკეტი ჩანგლის ჩაგდება. მაგრამ სუსტმა ჩანგალმა ვერ გაუძლო სტუმრების ღონეს, შეამტვრიეს კარები ავაზაკებმა და შევარდნენ სახლში, სადაც იმათ დაუხვდათ ხუთი სუსტი ქალი, თვითონ ხანუმაშვილი და იმისი თოთხმეტის წლის შვილი. როცა ხანუმაშვილმა დაინახა თავისი თავი ცუდ მდგომარეობაში, შემდეგ მცირე წინააღმდეგობისა და ბრძოლისა, აღუთქვა ავაზაკებს მიცემა ყოველის ქონებისა ოღონდ კი სიცოცხლე შემარჩინეთო, მაგრამ ავაზაკებმა არ იკმარეს. გატეხეს თურმე ზანდუკები და შვიდმეტი ათასი მანეთი ფულათ, ვერცხლათ თუ ოქროთ ამოიღეს, უხვი მასპინძელიც მოჰკლეს და ამით მოაშორეს თავის ცოლ-შვილს და სურამს ერთი სასარგებლო და კეთილი კაცი.

ავაზაკები თავიანთ საშოვრით გაიქცნენ. დედაკაცების ყვირილზედ მოვიდნენ, როგორც ჩვენში წესია, ჯერ ხალხი და მერმე აქაური პოლიცია. ღამის გუშაგები სად იყვნენ? მართლა კარგა მამაგონდა! ისინი ზოგი ჯამიტოვის დუქნის წინ ფარანს უყარაულებდნენ, რომ არავინ წაიღოს, ზოგი გაგზალზე იყვნენ, რომ მატარებელს არაფერი დაემართოს...

მეორე დღეს გორის პოლიციას გაეგო, რადაც მანქანებით, რომ ტატომ უნდა გაიაროს მატარებელით (ღამისა) ქალაქისკენ ქარელიდამ, ფიცხლავ დაუნიშნა ჩინოვნიკი ტატოს დასაჭერად. „არიქა, ბიჭო, გაიშველე, ერთი დაიჭირეო!..“

მაგრამ შენც არ მომიკვდე, იმას კარგი საქმე არ მოსვლია. უფ. ჩინოვნიკი კასპამდისინ მატარებელით წასულა და სულ იმ ფიქრში ყოფილა: რა მოახერხოს, რომ დაიჭიროს და ბოლოს გამოუფიქრია, რომ მაგისთანა კაცის — შეურაცხყოფა, ხალხში გაუპატიურება არ შეიძლება, უნდა მოქალაქურად მოვიქცეო. რო მოსულან კასპში, თვითონ შებმანებულა სადგურში და შეუგზავნია მატარებელში ჟანდარმის უნტერ აფიცერი: „წადი, მატარებელში აგაზაკია, მოიხმე, აქ დავიჭეროო.» ჟანდარმი შესულა და უთქვამს ტატოსათვისა: «შენ პოლიციის პრისტავი—თუ ჩინოვნიკი გიხმობსო,» «ბატონი ბძანდები, ეხლავ! უთქვამს პასუხად და გამოსულა გარედ და როცა ჩამოსულა კიბეზე, მაშინვე მარდათ ნაბადა გადუგდია, უშიშვლია ხანჯალი და დაუყვირია: „გზა მომეცით თქვე მ...ბო, დაუკრავს ფეხი და გაქცეულა. პოლიციის ჩინოვნიკი პირღია დარჩენილა. ზაფხული რომ ყოფილიყო ერთი მუჭა ბუზი შეუცვივდებოდა პირში..•

მაგრამ ეგ რა გასაკვირველია, როცა იგივე აგაზაკები შუბლღია და თავისუფლად დადიან დედაქალაქში—ტფილისში და გაზეთებში წერილებს აბეჭდინებენ! პატარა ხანს უკან ბანკშიაც ფულების შეიტანენ...

— ამ თვის 3-ს ქარელის და ღომის შუა ხაშურისკენ მომავალი მატარებელში მოხდა პატარა უბედურება: ბუფერების შუა ჩავარდნილიყო ვიღაც ჩინოვნიკი; მთლათ მატარებელს დაესრისა და გაეჭყლიტა საბრალო. იმისი წელების და ფაშვის ნაწყვეტებმა ღერძებზე ჩამოკიდებულებმა სურამი და ფოთი ნახეს.

ს. ბაერელი.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

დაიწყებს კაცი ლაპარაკს თუ არა ეხლანდელს პოლიტიკაზედ, წასვალ-მოსვალ და ისევ ინგლისზედ შედგები ხოლმე. საკვირველია ამ ინგლისის საქმე. ხომ ამბობენ, ევროპაში არავინ არ აძლევს მხარსა ინგლისსაო, რომ თავისი გაიყვანოსო, არცა ერთი ევროპიის უმთავრესი სახელმწიფო ვერ მიიბირა ინგლისმაო და ინგლისი სულ მარტოდ მარტო გამოდის მოედანზედ და იმუქრებაო, მაგრამ მაინც კიდევ ინგლისის მუქარა იაფად არ უჯდება ევროპასა; მაინც კიდევ ინგლისის ხმას დიდი ზედ-მოქმედება აქვს ეხლანდელთა საქმეთა მსვლელობაზედ. ბევრნი უმეცარნი ყვირიან, რა საშიშია ინგლისიო, ბევრი-ბევრი, ძალიან საქმე რომ გაიჭიროსო, ვსთქვათ 60,000 კაცი გამოიყვანოს საომრათაო, ეს ხომ წვეთია ზღვაშიო, ამ ძალით ინგლისს რა შეუძლიან, რომ ასე თამამად იმუქრებაო; სირცხვილიც არის კაცი ამ მუქარას შეუშინდესო. თუ ყოველივე ეს მართალია, მაშ რიღას შიში აქვთ მათ, ვისაც ეხლანდელის პოლიტიკის თავი და ბოლო ხელთ უპყრიათ? აუქციონ გვერდი გათამამებულს და უღონოს ინგლისსა და თავისი გაიყვანონ. დეე ინგლისმა, თუ მართლა უღონოა, იქნიოს თავისი ხმალი ჰაერში, დეე იყეფოს და ქარვანი კი თავის გზაზედ წავიდეს. საქმე ის არის, ინგლისის ყეფა ისეთი ყეფაა, რომ ქარვანიც ამის გამო შეფერხებულია და წინ თითქმის ფეხი ვერ წაუდგამს. ყველანი ძალიან ცდილობენ, რომ ამ უღონო ინგლისმა თავისი ხმალი ქარქაშიდამ არ ამოიღოს; ყველას უნდა, თავისი ისე გაიყვანოს, რომ ინგლისს ძალიან არ აწყენინოს და გული არ აუმღვრიოს. აქედამა ჰსჩანს, რომ ინგლისს საიდგამაც ზურგი მაგარი აქვს და საიდგამა აქვს ეგ ზურგი მაგარი იქნება იცოდეს მარტო ხერხიანმა ბიკონსფილდმა და მის მომხრეებმა და სხვამ კი არავინ. დიპლომატია დიდის ხნის გამოცდილი და მოხერხებული ფეიქარია, ეხლაც, როგორც მრავალჯერ, იქნება ისეთი ქსელი აქვს გამბული ევროპაში, რომ თვით ეშმაკიც ფეხს მოიტეხს. ვინ იცის ამ დიპლომატიის ხაფანგ ქვეშ ვინ მოუჰყვება და ვინ არა.

ჩვენ კიდევ ამას ვიტყვით, რაც გვითქვამს რამდენჯერმე: არც თვითონ ლორდი ბიკონსფილდია სულელი, არც სხვა უპირატესნი გამგებელნი ინგლისის საქმეებისა, რომ ეგრე ტყუილ-უბრალო მუქარასათვის გამოვიდნენ მოედანზედ, მუშტი დაანახონ თავის მოპირდაპირეს და მერე აიკრიფონ კალთები და ბაშვებსავით უკანვე გაიქცნენ. ჰსჩანს ამათ იციან, რასაც შვრებიან, როცა გამოდიან და იძახიან: აქ ჩვენს ხმასაც ადგილი უნდა ჰქონდესო. ჰსჩანს ამ ხმას დიპლომატების თვალში ცოტა

ოდენი პატივ-სადები რიხი და ფხაც აქვს, რომ დიპლომატებს ყური ინგლისისაკენ ბეჯითად მიქცეული აქვთ ინგლისის ხმის გამო ფრთხილობენ და შიშობენ.

თვითონ ინგლისში კი ორგვარი მიმდინარეობაა აზრისა აღმოსავლეთის საქმის შესახებ. ლიბერალების დასი, რომლის მეთაურად გლადსტონი ირიცხება, არ ნდომულობს ომსა და ამბობს ოსმალოსათვის ომში გარევა ჩვენის ხალხისათვის სამარცხვინო საქმე იქნებაო. ჯერ მინამდე ინგლისის ჭეშმარიტს სარგებლობას არა რაიმე შიში არ მოელისო, ჩვენ ომში არ უნდა გავერიოთო. ამ აზრზედ მტკიცედ დგანან და ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ ეს აზრი ხალხშიაც გაიყვანონ და უფრო მომეტებული ნაწილი ხალხისა გადმოიბირონ. ხომ ყველამ ვიცით, რომ ინგლისში იმისთანა წყობილებაა, რომ ამისთანა საქმეს, როგორც ომი, მთავრობა ვერ დაიწყობს, თუ ხალხის ნება-რთვა არ ექმნება. მეორეს აზრისანი არიან მთავრობის კაცნი და იმათში ყველაზედ მოსერხებული, მეტად კარგად გამოცდილი და ჭკვიანი ლორდი ბიკონსფილდი, ინგლისის პირველი მინისტრი. ამბობენ ამის მომხრენი არიან თვით ინგლისის დედოფალიც და ტახტის მემკვიდრეცაო. რასაკვირველია, იქ საცა თვითონ ხალხი განაგებს თავის საქმეებს, როგორც ინგლისში, იქ დედოფლისა და მემკვიდრის მომხრეობა ბევრს არასფერს ნიშნავს, მაგრამ მაინც კიდევ ამათი მომხრეობა ცოტაოდენს ძალას აძლევს ბიკონსფილდს და მის მიმდევართა.

ამ უკანასკნელს დროს ლორდი ბიკონსფილდი როგორღაც ჩაჩუმებულია, თუმცა მისი გულის წადილი კი ყველამ კარგად იცის. ვინ იცის, ისე კუთხეში მიმჯდარი, ჩუმად რაგვარს საპოლიტიკო ბადესა ქსოვს ეგ დაუძინებელი მოპირდაპირე რუსეთისა. ამ წინა დღეებში ტელეგრამამ გვაცნობა, რომ ორი მინისტრი ინგლისისა სამსახურიდამ გამოსვლას თხოულობსო. ერთი საგარეო საქმეთა მინისტრია დერბი და მეორე კანერვორნი. ორთავ ამათ ცოტად ფერი უცვალეს ბიკონსფილდის პოლიტიკას და ცხადად გამოთქვეს, რომ რუსეთის მოქმედებაში ჯერ ჩვენს საზიანოს არასა ვხედავთო და ამიტომაც ჩვენგან ნეიტრალიტეტის დარღვევა შეცდომა იქნებაო. თუ ამათი სამსახურიდამ გამოსვლის სურვილი მართალია, ჰსჩანს რომ ბიკონსფილდის პოლიტიკას აღმოსავლეთის საქმის შესახებ სრულიად თავი გაუტანია ინგლისის მთავრობაში მაინც, თუ არ ინგლისის ხალხში. ეს ვერაფერი ნიშანია მშვიდობიანობისათვის. მაგრამ მაინც კიდევ ჯერ არა ითქმის რა, ვიდრე ინგლისის პარლამენტის ბაასს დაწვრილებით არ გვაცნობებენ გაზეთები. საქმე ის არის პარლამენტი რას იტყვის. ჯერჯერობით რაც ვიცით, იქიდამ ცხადადა ჰსჩანს, რომ მთავრობაც ფრთხილობს მეტი სიტყვა არა წამოსცდეს რა და ლიბერალთა დასიც ყურ-აცქვეტილი შეჰყურებს მთავრობისაცა პარლამენტში მთავრობის კაცნი რა საგანს ჩამოაგდებენ საბაასოთაო.

ჯერ-ჯერობით ინგლისის გაზეთები ამბობენ, რომ ლორდ ბიკონს ფილდი და ერთობ ინგლისის მთავრობა ისე იქცევაო პარლამენტში, რომ მშვიდობიანობის იმედიაო. ამ გვარი ქცევა თვით ლიბერალთა დასის მეთაურს გლადსტონს მოჰსწონებია კიდეც.

—

**შერიგების თაობაზედ ხმები**. ლონდონიდამ 14(26) იანვარს შემდეგი ამბავი მოვიდა: ინგლისის გაზეთებს „Times“ და „Daily Newes“ მოჰყავთ შემდეგი პირობები მორიგებისა: ბოლგარიის ავტონომია, ქრისტიანის გუბერნატორის გამგებლობის ქვეშ; ბალკანიის სამხრეთის მხარეს, აგრეთვე ბოსნიას და გერცოგოვინას უნდ მიეცეს ახალი წესი მმართველობისა და ქრისტიანი გუბერნატორი უნდა დაენიშნოთ; თავდებობა მისი რომ სხვა ადგილებშიაც ოსმალეთში უკეთესი მმართველობა დაიდგინება; სრულიად განთავისუფლება რუმინისა, სერბიისა და ჩერნოგორიისა; ამ უკანასკნელს ქვეყნებიც მიემატება, ხოლო არ მიეცემა ზღვის პირი ადგილი ნავთსადგურად, რადგანაც ავსტრია ამაზედ წინააღმდეგობსო; ბესსარაბია, ბათუმი, ყარსი არზრუმი და მათ გარეშემო მაზრები ოსმალომ რუსეთს უნდა დაუთმოსო; ოსმალეთმა საზღაური უნდა უზღოს რუსეთსა; დარდანელის თაობაზედ კი საქმე ევროპიის სახელმწიფოთა გასაბჭობლად გარდიცემა.

ლონდონიდამ ამბავი მოვიდა, რომ რადგანაც ოსმალომ მიიღო ყოველივე პირობა რუსეთისაო, ამის გამო შერიგების საქმე გათავებულია, თუმცა ჯერ კი ჯეროვანად არ არის დამტკიცებულიო.

თუ ეს ამბები მართალია, მაშ დღე დღეზედ უნდა მოველოდეთ, რომ ამდენს ვაი-ვაგლახს და სისხლის ღვრას ბოლო მოეღებს. დიდად გვინდა რომ ეს ამბები გამართლდეს, მაგრამ ეს ეჭვით სავსე დრო ეჭვით ავსებს კაცის

გულსაც ახლანდელი საპოლიტიკო საქმეთა მიმდინარეობა ისეთი რთულია, თვალ გადუვლელი და დახლართული, რომ ვინ იცის, მშვიდობიანობის მაგივრად იქნება უფრო უარესი დღეც დაგვადგეს. საქმე ინგლისია, ის უღონო ინგლისი!...

## ომის ამბები.

— რვას იანვარს ღენერალ სტრუკოვს დაუჭერია ადრიანოპოლი უომრად. იქაური მცხოვრებნი თურმე აღტაცებაში არიან და დიდს მადლობას უცხადებენ რუსის ღენერალს დაიხსნა რომ ხალხი ჩერქეზების და ბაში-ბუზუკების მტარვალობისა და მტაცებლობისაგან. თვითონ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თორმეტს ამ თვეს წაბძანებულა ადრიანოპოლს.

— ღენერალ გურკოს გამარჯვება 3, 4 და 5 იანვარს უფრო დიდი და სახელოვანი ყოფილა, ვიდრე აქამომდე ეგონათ. ახლა გამოაშკარავებულა, რომ გურკოს ჰქონია საქმე მთელს სულეიმან-ფაშის ჯართანა; თვითონ სულეიმან-ფაშას უსარდლია ჯარისათვის. სულეიმან-ფაშის ჯარი 40,000 კაცზედ მეტი ყოფილა. რუსის ჯარს შუა გაუყრდვევია სულეიმან-ფაშის ჯარი; ერთს ნახევარს ფუად-ფაშის ხელქვეითს უომნია ორი დღე 4 და 5-ს იანვარს, რომლის შემდეგ დამარცხებულა, დაუყრია 46 ზარბაზანი და 6 იანვარს ღამით გაქცეულა მთებში; გზაზედ გადუყრია ხევში კიდევ 12 ზარბაზანი. მეორე ნახევარიც სულეიმან-ფაშის წინამძღოლობით იმავე ღამეს გაქცეულა მთებში სხვა მრივ. რუსის ჯარი დაჰკსწევია, მიუტანია იერიში და ორმოცი ზარბაზანი დაუგდებინებია. ამ სახით სულეიმან-ფაშის ჯარს დაუკარგავს მთელი თავისი არტილლერია. სულეიმანს, ტყვეების სიტყვით, მარტო მთის ზარბაზნებიღა დარჩენია. გაქცეული სულეიმან-ფაშასთან ჯარი ან შეებმება თურმე ხასკიოიში სკობელევის ჯარს, ან გაიქცევა სამხრეთისაკენ მთებში.

— 7 იანვრის წინა ღამეს რუსის ჯარს ხასკიოდამ ხერმანლში მიმავალს მოუსწრია ოსმალოს ქარავანისათვის და წაურთმევია ოცი ათასი პოვოზკა ბარგითა და ბარხანია.

— ათის იანვრის წინა ღამეს ღენერალ კამაროვის ჯარს იმერთ-ხევის ხიდი დაუჭერია, დაჰკსცემია ოსმალოს სიმაგრეს ღოლის-ხანის სოფელთან და სრულიად დამარცხებია. ოსმალოს ჯარი ზოგი არტვინისაკენ გაქცეულა, ზოგი ახლო-მახლო მთებს შეჰფარებია.

— რუსის ცეცხლის გემს „კონსტანტინეს" კიდევ ერთი სახელოვანი საქმე ოსმალოს ხომალდებს მოუხდენია. მიჰპარვია ბათუმის ნავდსადგურში მდგარს, მიუგზავნია ნავები და ერთის ოსმალოს ცეცხლის გემის ქვეშ ნაღმი უფეთქებია. სხვათა ოსმალთა ხომალდების თვალწინ ეს ცეცხლის გემი დაძირულა და უფრო მომეტებული ნაწილი ზღვის ჯარის-კაცთა წყალში დაღუპულა. ჩვენები მშვიდობით გადარჩენილან.

## საქართველო

(ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა)

(შემდეგი *).

როგორც მოვიხსენეთ, ქალდეო-ასსირიის დამოკიდებულობა ჩვენ მხარესთან უფრო ხშირი ყოფილა. მათი შარა-გზები ბაბილონიდამ მიემართებოდნენ — ერთი მიდიის ქალაქისკენ, ეკბატანისკენ, და შემდეგ კასპიის პირის შესავლით ჰირკანიისკენ; მეორე მესოპოტამიით ეფრატზე და კილიკიით კაპადოკიაში. უფრატი იყო ბუნებითი გზა, რომლითაც ქალდეო-ასსირიის მოვაჭრენი აღებ-მიცემობდნენ არმენიაში და კავკაზში. საზოგადოდ ხსენებულ გზებზე აქა-იქ გამართული თურმე იყო ქარვასლები საქონლის დასაწყობად. ჰეროდოტის თქმით, ეფრატზე სავაჭროები გაჰქონდათ და შემოჰქონდათ ნავტიკებით, რომელნიც ახლაც თურმე იხმარებიან ტიგრის მდინარეზე. ამ გზით ქალდეო-ასსირიაში შედიოდა არმენიიდამ ღვინოები, ჩვენის მხრიდამ სხვა და სხვა მადნეულობა და აგრეთვე ყმაწვილნი ქალ-ვაჟნი, რომელნიც ფასობდნენ მათის სიტურფის გამო. ეს ჩვეულება შემდეგშიაც არ ამოკვეთილა. „თვით ჩემს დროსაც, ამბობს ჰეროდოტი (მე-V საუკ.), კოლხიდელთ და მათ მოსაზღვრე მცხოვრებთ ხარკათ ედოთო, რომ ყოველს ხუთ წელიწადს ას-ასი ვაჟი და ქალწული ქალი ეძლიათო სპარსეთისათვის" 7). ახლად გარკვეული ლურსმებრივი მწერლობა ჰმოწმობს, რომ იშვიათი არ ყოფილა ქალდეო-ასსირიელებთაგან გალაშქრება ურარტში ანუ აწინ-

*) ივერია № 2 1878 წლისა.

Hérod., III, 195.

დელს არმენიაში, ილლიბში (ალბანია ანუ დაღისტანი) და ტუბალ-მოსხეთში. ამ საგანზე და თვით მოსხო-ტუბალის გვარ-ტომობაზე მოგვყავს ერთი ახალი აზრი ჟიულ სურისა,—აზრი, რომელიც დაფუძნებულია მცირე-აზიის უკანასკნელს არხეოლოგიურს შესწავლაზე, 1861 წელს, საფრანგეთის მართებლობის მინდობილობით, გამოჩენილის არხეოლოგის ჟორჟ პერროს მიერ. ვინ იყვნენ, ჰკითხავს თავის-თავს სური, ტუბალი და მოსოხი ანუ ტიბარენნი და მოსხნი, რომელთაც ტირის ქალაქში შეჰქონდათ სპილენძის ჭურჭლეულობა და რომელნიც ყოველთვის შეერთებით არიან ხსენებულნი ბიბლიაში და თვით ჰეროდოტის მიერ? მოსხნი იყვნენ პირველნი მცხოვრებნი კაპპადოკიისა, რომლითაც ასსირიის გავლენა მოფენილა მცირე-აზიაში. უეჭველია, რომ ძველი მაზაკი, მდებარე დათოვლილის მთის არგეს ძირად, ჰალისზე, შეადგენდა ვრცელს სამფლობელოს ტურანელებისას. ბევრით შემდეგ, სტრაბონის დროს, როდესაც კაპპადოკიაში ბინადრობდნენ სემიტნი, "მოსხეთი" შეიცავდა კოლხიდას, იბერიას და ნაწილს არმენიისას. რაც კი შეეხება ტუბალს ბიბლიისას, ტაბალს ლურსმებრივის მწერლობისას ანუ ტიბარენებს ჰეროდოტისას, ეს ტურანელი ხალხი გავრცელებულა შავი-ზღვის პირამდე, ტრაპეზონსა და სინოპს შუა. უეჭველია ნათესავური დამოკიდებულობა მოსხო-ტიბარენთა მიდიის ტურანელებთან [8]). უეჭველია აგრეთვე მათი ერთ-გვარ-ტომობა ძველ ქალდეველებთან, რომელთაც დაუმხვიათ მესოპოტამიაში ქუშიტნი და ეფრატო-ტიგრის ქვემო ნაპირზე დაუფუძნებიათ ქალდეა [9]). იმათგან მიუღიათ,—დაჰმატებს სური,—სემიტებს და სემიტებთაგან არიელებს პირველ-დაწყება სწავლა-ხელოვნებისა; იმათვე შეუტანიათ ლურსმებრივი მწერლობა როგორათაც მესოპოტამიაში, აგრეთვე არმენიაში და თვით სუზიანში. სულ ძველისძველად მოსხნი, ტიბარენნი და ქალდეველნი პირველნი განვითარებულან მადნებისა და მეტალების შემუშავებაში.—მე XII საუკუნეში ქრისტეს წინად მეფემ თიგლათფალასარ I-მა ორჯელ თურმე სძლია მოსხებს და მათ ხუთ მეფეს, რომელთაც სჭერიათ უმეტესი ნაწილი კაპპადოკიისა და პონტისა. როგორც სჩანს, მოსხეთის აღმოსავლეთად ტიბარენებს ჰქონიათ დიდი სამფლობელო, რადგანაც სალმანასარ II-ის წარწერით, „ჩემის მეფობის ოც და მეორე წელს მე ოც-და-ერთხელ გავედიო ეფრატს გაღმა, შევედიო ტაბალის ქვეყანაში და ოც-და-ოთხს მეფეს ამ ქვეყნისას ხარკი დავდეო“ [10]).

ამტკიცებენ, ვითომც მიდიის მეფეს კიაქსარს (635—595 წ.) ეფრატის სათავეებიდამ შეერეკოს პონტისა და კავკაზის მხარეში ის ნაწილი ქართველის ტომისა, რომელიც იქ თურმე ცხოვრობდა, და მის ადგილში დაესახლებინოს ფრიგიელი ტომი ჰაიკანელნი და ირანელი ტომი კატპატუკა [11]). მის დროსვე სკვითნი, ქართლის-ცხოვრების ხაზარნი, კავკაზისა და კასპიის ზღვის ჩრდილოეთად მცხოვრებნი, კავკაზით დასხმიან მიდიას, სადაც უმფლობელნიათ და უმძლავრნიათ 28 წელიწადი. სპარსეთის მეფეს კიროსს (559—529 წ.) დაუმორჩილებია ალბანელნი და იბერნი, კოლხიდელნი და მაკრონნი, ხალიბნი და ტიბარენნი, რომელნიც მის შემდეგაც სპარსეთის მფლობელობაში დარჩენილან. მეფეს დარიოსს (522—506) მთელს თავისს ვრცელს იმპერიაში ახალი სახელმწიფო წესი დაუმყარებია და სასატრაპოები ანუ ჩვენებურად საერისთავოები დაუარსებია; მათ შორის ჰეროდოტის თქმით მეთვრამეტე სასატრაპოს შეადგენდა არაქსსა და კავკაზს შუა მდებარე იბერია და ალბანია, რომელთაც ხარკად სდებიათ 200 ტალანტი; მეცხრამეტე სასატრაპოც ყოფილა პონტი და მისნი მცხოვრებნი-მოშიანნი, ტიბარენნი, მაკრონნი და მოსინეკნი; იმათი ხარკი ყოფილა 300 ტალანტი [12]).

სპარსეთის პოლიტიკური ძალა და გავლენა ჯერ ისევ მოქმედებდა, როდესაც ევროპაში და მცირე-აზიაში აღუვავდა მის მოწინააღმდეგე ელლინელი ტომი, რომელ-

---

[8]) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა არხეოლოგია ჩვენ ტომს ტურანელებათ ჰხადის, მაგრამ ლინგვისტიკას ეჭვი აქვს. რა საბუთები მოჰყავთ ერთსაც და მეორესაც, ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი.

[9]) ამ საგანს სხვა მწერლებიც შეეხებიან. იმათ შორის ზოგნი ამტკიცებენ, ვითომც მესოპოტამიის ქალდეველნი გამოსულიყვნენ გორდიენიდამ, აწინდელის ქურთისტანიდამ (Renan, Hist. de lang semit, 60, 66, 68); ზოგნი მათ პირველ საცხოვრებელს უჩვენებენ პონტის ქალდეაში (Langlois, Collection des histor. armén., I, 3, 44).

[10]) Revue de Deux Mondes, 15 oct. 1873, Asie Mineure d' aprés les nouvelles découvertes archéologiques, 909—910.

[11]) Maspero, Hist., 398—399, 478.

[12]) Herodote, III, 194.

მაც მცირე ხანში ის შეარყია და დაამხო. მთელი შავი-ზღვის პირი და უმეტესი ნაწილი საშუალო-ქვეყნის ზღვის კიდისა ელლინების კოლონიებით მოიფინა. მათ შორის ყველაზე მეტად განვითარდნენ ფოკეა და მილეტი. ჩვენის მხრით განსაკუთრებით ღირს-სახსოვარია მილეტი, რომელიც მდებარებდა კარის დასავლეთად, ლატმიკის ნავთ-საყუდელის მახლობლად. მილეტში დამყარდა ბინა ელლინების წარმატებისა. მილეტელთაგანი იყვნენ: ფილოსოფოსნი-ფალესი, ანაქსიმანდრი და ანაქსიმენი; ისტორიკოსნი-ჰეკატე და კადმი; ორატორები-ესხინი, ასპაზია და არისტიდი. მილეტს ჰქონდა ასამდე სამხედრო გემი; მილეტმა გაიჩინა მრავალი ცხვრის ფარები და თავისი მშვენიერი ხალები დაქსოვილები მთელს მაშინდელს ხმელეთზე გაავრცელა. მილეტი აღებ-მიცემობდა ერთის მხრით აზიის შუაგულამდე, მეორის მხრით გიბრალტარის ბოღაზამდე. უმთავრესი ასპარეზი მისის ვაჭრობისა იყო შავი-ზღვის პირი, სადაც მან მოჰფინა საკუთარი კოლონიები ერთი მეორესთან დაკავშირებული. იმათი კოლონიები გაშენებული იყო უმთავრესის მდინარეების შესართავებში, ზღვის მოხერხებულს ყურეებზე და ხეობაების შესავალში. იმათ შორის ოლბია მდებარებდა დნეპრისა და ბუღის შესართავში და სცვლიდა სკვითების მდიდარ სამკალზე საბერძნეთის ღვინოს და ნაყოფს; ტანაისი იყო გაშენებული დონის შესართავში, იქ, სადაც ციმბირის ქარვანები იკრიბებოდნენ. ტანაისის ვაჭრობა იყო ციმბირის ბეწვეულობა, ინდოეთის ფარჩეულობა და სურნელ-სურნელობა. ფანაგორია იყო დაფუძნებული ყუბანის შესართავში და იმისი ნავთ-სადგური დასცქეროდა პონტს და ბოსფორს კიმმერიისას. აქ იკრიბებოდნენ აზიელნი ბოსფორიელნი, მეოტნი და ჩრდილო-კავკასიის ტომნი. შემდეგ ტანაისმა და ფანაგორიამ თავის მეტროპოლიად ანუ დედა-ქალაქად აღიარეს პანტიკაპეა. ტორიკოსი და ბატა მდებარებდნენ გელენჯიკის და სუჯუკკალეს ყურეზე; დიოსკურია მდებარებდა აფხაზეთის შუა-გულში. დიოსკურიას შეჰქონდა კავკასიის მთიულებში პანტიკაპეის მარილი და ნაცვლად კავკასიიდამ გამოჰქონდა ტყავი და სხვა მისი ნაწარმოები. ფაზი ანუ შემდეგ ფოთი შეადგენდა სავაჭრო ქალაქს კოლხიდისას, რომელსაც გაჰქონდა სელი, კანაფი, წმინდა სანთელი, ფისი, ტილო, ხე-ტყე და თაფლი [13]).

13) Dubois, Voyage, I, 56—58.

საზოგადოდ მცირე-აზიის ელლინებმა შეჰკრიბეს და გადმოგვცეს თავიანთი ცნობები თვით კავკასზე... აქ ჯერ ეს უნდა ვთქვათ, რომ კავკასს აქამომდე სხვა და სხვა ტომნი სხვა და სხვა სახელს მისთვისებენ. იმას უწოდებენ-თურქნი კაფ-თაგად, სპარსნი იალბუზად, ქართველნი იალბუზის მთად. უკანასკნელნი თვით კავკასადაც სახელ-სდებენ. ზოგნი ამტკიცებენ, ვითომც იალბუზი ანუ ელბრუსი ძველს სპარსულს ენაზე ჰნიშნავდეს მაღალ ტანს, სიმაღლეს და ვითომც აქამომდე სპარსნი ელბრუსად უწოდდნენ მაღალ მთას ჯიბრაილის მაზრისას სპარსეთში. კლაპროტის აზრით კაფი უდრის ძველს მიდიურს სიტყვას კაფსპს, კასპს და კასპიის ზღვისა და თვით კასპიელების სახელ-წოდება ამ მთიდამ არის წარმომდგარი, რადგანაც ერატოსთენის მოწმობით, რომელიც მოჰყავს სტრაბონს, კავკასიელნი კავკასს კასპიის მთად უწოდდნენ [14]). ზოგნი კავკაზს ეძებენ არიელთ უპირველესს საცხოვრებელში, საიდამაც მრავალი გეოგრაფიული სახელ-წოდება გავრცელებულა სხვა და სხვა მხარეში. ზემო-აზიაში ძველად კავკასად თურმე უწოდდნენ იმ თოვლით დაბურულს მთა-ადგილს, რომელიც მდებარებს სამხრეთად გიმალაისა, ბაკტრიანსა და არიანს შორის. ვივიან სენ-მარტენის აზრით, იქ, სადაც ინდუსს აქვს სათავე, ცხოვრობდა და ცხოვრობს გავრცელებული ტომი ჰაზ-აზნი. იმათ მთებს სანსკრიტნი უწოდდნენ ჰაზა-გირს (გირი სანსკრიტულად არის მთა, ქართული გორა); ეს სიტყვა მიდო-სპარსულს ენაზე გადაქცეულა კოხ-კაზად, რადგანაც ამ ენაზე კოხი მთასვე ჰნიშნავს. ამ სახელ-წოდების შემოტანაზე ჩვენში ვივიან დე-სენ-მარტენი ამბობს: „უძველესნი ელლინთ მწერალთაგანნი არიან ჰორფეი და ჰომერი, რომელნიც ჰყვავოდნენ მე-IX საუკუნეში ქრისტეს წინად. ამათ სახელწოდება კავკაზი არა ჰსცოდნიათ. ესეც უნდა ითქვას, რომ ჰომერისაგან არ არის მოხსენებული არც აზია, არც კოლხიდა, არც პონტი და არც ფაზი. კოლხიდას ის აღნიშნავს აეტის სამფლობელოდ; მხოლოდ ორფეი უჩვენებს ფაზს. მართალი, ორფეის (მე-XIV საუკ.) არგონავტიკაში, რომელიც წარმოგვიდგენს არგონავტების მოგზაურობას კოლხიდაში, მოხსენებულია კავ-

24) Voyage au mont Caucase, Paris, 1823, I, 132—137.

კაზი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არგონავტიკა შემდეგშია შეცვლილი და დამატებული ნამდვილი გეოგრაფიული ცნობა ჩვენ მხარეზე ელლინებში იმ დრომდამ ვრცელდება, როდესაც მილეტელებს დაუფუძნებიათ კოლონიები შავი-ზღვის პირად. პირველად კავკაზს და კოლხიდას იხსენიებენ ესხილი, ფერესიდი და პინდარი, რომელნიც 550—500 წ. ცხოვრობდნენ.“ ვისგან და რა დროს დარქმევია კავკაზს ეს სახელი, აი ამაზე რას ამბობს სენ-მარტენი: «ძველის თქმულებით ჩრდილოეთად კავკაზისა და გარეშემო აზოვის ზღვისა მკვიდრობდნენ კიმმერიელნი, რომელნიც ხსენებულნი არიან თვით მოსე წინასწარ-მეტყველისაგან და რომელთ სახელი, კიმმერიის ბოსფორი, მისთვისებია აზოვის ზღვის შესავალს. კიმმერიელნი ამ ადგილიდამ შეუძრავთ და განუდევნიათ, ჰეროდოტის ცნობით, მე-VII საუკუნის გასულს, მათთავე მოსაზღვრე სკვითთა. ამასთანავე სკვითნი დასხმიან ირანის ტომს მიდიაში და აქედამ იმათ გადაუსახლებიათ ჩრდილოეთად კავკაზისა მიდიის მცხოვრებნი, რომელნიც ქართლის-ცხოვრებაში ცნობილნი არიან ოსებად, უცხოტომთ მწერალთაგან კი აზებად. მართლა და მიდიური მომდინარეობა ოსებისა უეჭველი ფაკტია. იმათი ენა ირანული ენაა; ისინი იქამომდე თვით თავის ტომს ირონებად ჰხადიან. აზიებად ისახელწოდებოდნენო იგინი, იტყვის სენ-მარტენი, იმ ჯაზ-აზიზების სახელით, რომელნიც ინდოეთში სცხოვრობდნენო და ეჭვი არ უნდა გვქონდესო, რომ იმათგან არისო პირველად სახელ-წოდებული კავკაზის ჩრდილოეთი მხარე აზიად და თვით უმთავრესი ზურგი კავკაზისა კავკაზად [15]).

მილეტელების დროის შესანიშნავი ელლინელნი მწერალნი, რომელნიც ჩვენ მხარეს შეეხებიან, არიან: სკილაქსი, ჰეროდოტი და სტრაბონი. სამნივე მკუთვნიან მცირე-აზიას, სკილაქსი დაბადებულა კარიის ქალაქში კარიანდაში, მაგრამ რა დროს ცხოვრობდა დაჭეშმარიტებით არ ვიცით, თუმცა საზოგადოდ იხსენიებს მე-V საუკუნეში, როდესაც ჰყვაოდა ჰეროდოტი,(486—406 წ.) შობილი ჰალიკარნასში. სტრაბონი დაბადებულა პონტის ქალაქში ამასიაში, ცხოვრობდა უკანასკნელს საუკუნეში ქრისტეს წინად და იყო თანა-მედროე რომის იმპერატორებისა, ავგისტოსისა და ტიბერისა. სკილაქსისაგან არის დატოვებული აღწერა საშუალო ზღვისა, პროპონტიდისა, ევქსინის პონტისა ანუ შავის-ზღვისა და მეოტიდის ტბისა. ჰეროდოტს შეუდგენია ცხრა ისტორიული წიგნი, რომელშიაც მოხსენებულნი არიან პონტის მხარე და, როგორც ზემოდ ვთქვით, თვით ჩვენი ტომიც. სტრაბონს დაუწერია ორ-გვარი თხზულება—ისტორიული, საუბედუროდ, დაკარგული და გეოგრაფიული, რომელიც ნათარგმნია თითქმის ყველა ევროპიულს ენაზე. აქ საჭიროდ ვხადით შევდგეთ მხოლოდ სტრაბონზე, რადგანაც რა ცნობებიც კი შემოუკრებიათ ჩვენ მხარეზე სკილაქს, ჰეროდოტს და სხვა ელლინელთ მწერალთ, თითქმის ყოველივე ჩართულია სტრაბონის გეოგრაფიაში.

სტრაბონს მიმოუვლია სირია, ეგვიპეტი, საბერძნეთი, იტალია და თვით ჩვენი მხარე, როგორათაც ჰეროდოტს კოლხიდა [16]). თუმცა სტრაბონი თავის მოგზაურობაზე ჩვენში არას ამბობს, მაგრამ ეს ცხადად იგულისხმება მისის წიგნის კითხვის დროს. შეძლებულიც იყო, ამისთანა ცნობის მოყვარე კაცს არ ესარგებლა შემთხვევით: იმისი დედის ბიძა მოაფერნესი ყოფილა მიტრიდატის დროს, როგორათაც თვითონვე გვიამბობს, გამგე კოლხიდისა [17]). სტრაბონის „გეოგრაფიაში,“ რომელიც დაყოფილია 27 წიგნად, სამი (მე-X, მე-XI და მე-XII) წარმოგვიდგენს მცირე-აზიის აღწერას და იმათ შორის მე-XI და მე-XII შეიცვენ თვით იმ ცნობებს, რომელნიც ჩვენის მხარის სურათს გამოგვიხატვენ, თუმცა ზოგიერთნი მათგანნი აქა-იქაც მთელს თხზულებაში გაბნეულნი არიან. სტრაბონი არის სწავლა-მეცნიერებაში დიდად განვითარებული. თავის გამოკვლევაში ის ადგა კრიტიკულ მეტოდს: ერთ ავტორს მეორეს უთანასწორებს, ერთს მეორით ჰმოწმობს ან არღვევს; რაც სტრაბონს დასაჯერებელი ჰგონი, იმას ის მკაცრად სჯის და ჰკიცხავს, რაც საეჭვოდ მიაჩნია, იმას სიფრთხილით იხსენიებს. სტრაბონის წყაროებია—ზეპირ-გადმოცემა, მითები, ძველი და თანამედროე მწერლები და თვით მის მიერ გაგონილი და ნახული. კავკაზის შესწავლის მასალებად ის ჰხადის უფრო მიტრიდატისა და რომაელების

15) Recherche 6—13, 145, 151—152, 189.

16) Hérodote, Introduct. de Quiquet, p II, livre II, p. 122.

17) Strabon, XI, 401, XII, 513.

დროს შეგროვილს ფაქტებს. ერთ ადგილს ის ამბობს: „რაც კი შეეხება იმ ქვეყნებს, რომელნიც მეოტიელთ კიდემდე მდებარეობენ და რომელნიც კოლხიდას ესაზღვრებიან, იმ ქვეყნებზე ცნობანი გარდმოცემული გვაქვს მიტრიდატ ევპატორისაგან და იმის მოადგილეთაგან“ 18) ამ მოადგილეთაგან იყო თვით სტრაბონის დედის ბიძა. გარდა იმისა ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ცნობა კავკაზზე ეკუთვნის «პომპეის ისტორიკოსს“ პოსიდონიოსს. «შენიშნეთო, იტყვის სტრაბონი, რომ პოსიდონიოსი იყო მეგობარი პომპეისა, რომელმაც კოლხიდის ზღვის კიდით კასპიის ზღვის კიდემდე გაიარაო და თავისი მხედრობა იბერიელებში და ალბანიელებში შეიყვანაო 66—62 წ“) 19). სტრაბონი აფუძნებს აგრეთვე თავისს აღწერას როგორათაც თეოფანეზე, რომელიც, მისისავე სიტყვით, „პომპეის თურმე დაჰყვებოდა და თვით ყოფილა ალბანიაში,“ აგრეთვე მეტროდორ სკეპსისზე და ჰიფსიკრატზე, რომელთაც ჩინებულად იცოდნენო მთელი ეს მხარე» 20). მაშასადამე, სტრაბონს დაწვრილებით უნდა გამოეკვლია კავკაზი. ამასთანავე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სტრაბონისაგან აღნიშნული მიმართულება მთებისა და მიმდინარეობა მდინარეებისა თითქმის სრულებით ეთანხმება ახლანდელს ტოპოგრაფიულს გამოკვლევას და თვით იმათი ნომენკლატურა, სტრაბონისაგან დატოვებული, აქამომდე მიღებულია უკეთესს გეოგრაფიულს კარტებზე.—ჩვენს შრომაში ჩვენ ვსარგებლობთ უკანასკნელის ფრანცუზულის თარგმანით Géographie de Strabon par Amedée Tardieu, რომელმაც აქამომდე, 1867—1873 წ., გამოსცა პარიჟში მხოლოდ XII წიგნი: რადგანაც ქვემოდ გამოკრებილი ფაქტები გაბნეულია, როგორც ვთქვით, აქა-იქ სტრაბონის „გეოგრაფიაში,» ჩვენ იმისი ციტატები არ მოგვყავს, რომ სტატიის სტრიქონები არ აჭრელდეს.

(შემდეგი იქნება)

18) Strabon, I, 22.
19) Ibid., XI, 389.
20) Ibid., XI, 411—412.

## უბინაო კაცი ნუიორკში *)

(თარგმანი)

ეს ამბავი მოხდა ერთს ზამთრის ცივ ღამეში. გარეშემო ძალიან ბნელოდა, მხოლოდ განიერი კიბე სტეინუეი-გოლლისა გაჩაღებული იყო. ქუჩის ბიჭები ბუზსავით ირეოდნენ ამ კიბესთან და თვალით აცილებდნენ მორთულს ხალხს, რომელიც ამ ჟამად კონცერტიდამ გამოდიოდა. ამ მორთულს ხალხში ერია ფილიპე ტეტლოუ თავისის ცოლით; არც ცოლი და არც ქმარი სრულიად არ მოელოდნენ მას, რაც ბოლოს შეემთხვათ.

ფილიპე ტეტლოუ ოცდა ათის წლის კაცი იყო, დამჯდარის კაცის სახისა, ხოლო როცა იამებოდა რამე ან თანაუგრძნობდა რასმეს სახე გაუცოცხლდებოდა, როგორც ბავშვსა. არ იყო დიდის შეძლების კაცი, დღე-დღეურად ჰსცხოვრებდა მით, რასაც თავისის ჭკვით და ხელობით შოულობდა. ძალიან იშვიათად გამოიმეტებდნენ ხოლმე ცოლ-ქმარნი ფულს იმისთანა შექცევისათვის, როგორც კონცერტია. მაგრამ იმ ღამეს კი როგორღაც გაბედნათ წასვლა კონცერტში, რომლის გათავების შემდეგ მოდიოდნენ შინ კმაყოფილებით სავსენი. მუზიკას ისეთს აღტაცებაში მოეყვანა ცოლ-ქმარნი, რომ მარტო მაშინ იგრძნეს თოვლი მოდისო, როცა მიახწიეს მეთოთხმეტე ქუჩის ყურემდინა. გაიარეს ერთი ქუჩა კიდევ და დაიწყეს ლოდინი კაბრიოლეტისა, რომელსაც იგინი შინ უნდა მიეყვანა, მაგრამ კაბრიოლეტი არსაით ჩნდა. მაშინ ცოლ-ქმართა გასწიეს ფეხით შინისაკენ და დაუსწორდნენ ერთს ოქრომჭედლის მაღაზიასა, რომელიც ამ ჟამად დაკეტილი იყო. ამ მაღაზიის გასწვრივ ღვინის სარდაფი იყო და იქიდამ სინათლე ჰსცემდა ქუჩის პირს და ანათებდა თოვლ-ჩყაპისაგან მოგუბებულს აქა-იქა წუმპეებსა. აქ ამ სინათლეზედ ტეტლოუმ თვალი შეასწრო რომ ვიღაც კაცია ატუზვილი. ამ კაცს ჭაღარა-მორეული წვერი ჰქონდა და გახვეული იყო ვიწრო წამოსასხამში, რომელიც დასველებოდა თოვლისაგან. ამ კაცმა რაღაც წარმოჰსთქვა დაბლა და შესაბრალისად. ტეტლოუ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ მოწყალებას ჰსთხოვდა, როცა ამ კაცს გაჰსცილდა. ხოლო გულმა ტკივილი დაუწყო და უთხრა ცოლს:

— მე ძალიან მინდა ის კაცი ისევ ვნახო, და დაიწყო ჯიბეში რიღაცას ძებნა.

— გინდა და წადი, ჯერ ხომ გვიან არ არის? უპასუხა ცოლმა.

*) ნუიორკი უმთავრესი ქალაქია ამერიკის რესპუბლიკისა.

ორივ როგორღაც გაუბედავად შეჰყურებდნენ ერთმანეთს, ასე გონია თვის მოქმედებას ვიღასაც უმალავენო. მართალია, ვისმეს რომ ამათი შემოსავალ-გასავლის ანგარიში ენახა, ანუ ამ ჟამად რომ შეჰსწრებოდა ერთი ვინმე მაღალის ზნეობის ნაცნობთაგანი, გულს დაუთუთქავდა მწარეს რჩევითა და დარიგებითა, მაგრამ გულის სიკეთემ თავისი ჰქნა და ტეტლოუ მოუბრუნდა მთხოვარასა.

აბურძგნულმა, თვიდამ ფეხამდე დასველებულმა ადამიანის აჩრდილმა ჩამოართო მოწყალება ისე თითქო ჰსცხვენიანო და წაიბუტბუტა რაღაცა მადლობის მგზავსი. ტეტლოუს მალიან იამა, რომ პასუხად არ მიიღო ჩვეულებრივი: „ღმერთმა სამაგიერო გადაგიხადოს“. ხოლო როცა მოვიდა ცოლთან იმ მორცხობითა, რომელიც თან მოჰყვება ხოლმე ჭეშმარიტს კეთილს საქმეს, უეცრად მოესმა უკანიდამ ფეხის ხმა. ტეტლოუმ უკან მოიხედა. მის წინ იდგა ის ადამიანის აჩრდილი.

— მომიტევეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ უნდა.....

ამ სიტყვებს ზედ დაერთო სხვა გაუგებარი სიტყვებიცა. ტეტლოუმ მხოლოდ ის გამოარჩია ამ ლაპარაკიდამ, რომ მთხოვარა რაღასაც ჰკითხავს. ბოლოს მოესმა სიტყვაც: „შეცდომით“.

— როგორ თუ შეცდომით? ჰკითხა ტეტლოუმ.

— თქვენ არ მიბოძეთ ეხლა მე ნახევარ დოლლარი *)? უთხრა პირდაღრეჯილმა ბოგანამ, რომელიც ცდილობდა სიცივისა და შიმშილისაგან თრთოლა შეეკავა.

— სწორედ, უპასუხა ტეტლოუმ: იქნება ნაკლებ მოგეცი სიბნელეში, ხოლო სურვილი კი მაგდენის მოცემისა მქონდა.

— სურვილიო? განიმეორა საწყალმა აკანკალებულის ხმითა: მე მხოლოდ ეგ უნდა შემეტყო, იმიტომ-რომ ჩემს დღეში მე არ შემმთხვევია ამის მგზავსი რამ.

აქ ხმა გაუწყდა უბედურსა, ეტყობოდა გულის-ღელვამ სიტყვა მოუჭრა. ტეტლოუც ისე გაოცებული იყო, რომ ხმა ვეღარ ამოიღო.

— დიახ, მოწყალეო ხელმწიფევ, განაგრძო სიტყვა იმ უცნაურმა ადამიანმა: ჩემს დღეში არ შემმთხვევია! დიდი ხანია—ვაი ჩემს თავს—რაც მე მოწყალებას ვთხოულობ ამ ქუჩებში, მაგრამ ჩემს დღეში ჩემთვის ორი შაურის მეტი არავის მოუცია. ამის გამო მინდოდა შემეტყო, შეცდომით ხომ არ მოგივიდათ. იქნება ბნელაში ვერ გაიგეთ და მეტი მიბოძეთ.

ხმა ამოუღებლივ ორივემ ერთმანეთს ყურება დაუწყეს. მთხოვარის სახე თავის დღეში არსად არ ენახა, მაგრამ ისე კი მოეჩვენა თითქო ეს ფერ-მკრთალი სახე, რომელიც თვალ წინ ედგა ამ ბნელა—შუქში, უფრო ახლოდ ნაცნობია, ვიდრე სხვა ვისიმე სახე ქვეყანაზედ. რამდენისამე წუთის განმავალობაში ის სახე ისე დაისწავლა, რომ დარწმუნებული იყო თავის დღეში აღარ დაავიწყდებოდა.

— ყმაწვილო-კაცო, უთხრა უბინაო ბოგანამ თითქო თავის-თავს მალას ატანსო: თქვენ ათასში ერთი ყოფილხართ. თქვენ ჩემს ცხოვრებაში დიდი კვალი დააჩნიეთ.

როცა იგი ლაპარაკობდა, მთელი მისი სახე მეტყველებდა ერთ რაღაც უპირატესობას, რომელიც დიდი ხნის დაჰკარგოდა. იგი უპირატესობა გამოჰკრთა მის მაღალ და ცოტად მოხრილ ტანშია, გამოჩნდა მის დამონებულს და შესაბრალისს ტანისამოსშია, გამოითქვა მის მიბერებულს და წვალებით მიქანცულს სახეზედა.

— თქვენ ჩემ ცხოვრებაში დიდი კვალი დააჩნიეთ, განიმეორა კვლავ უბედურმა.

ტეტლოუ, გაჩერებული თავის ცოლის ახლო, ჰკვირობდა ყოველს ამას. ამისთანა უცნაური, არა ჩვეულებრივი ამბავი აოცებდა მას. არ იცოდა რა პასუხი მიეცა და იდგა ისე თითქო მიკერებულიაო იმ ერთს ადგილს რაღაც უცნაურის გრძნებითა, რომლისაგანაც თავი ვერ დაეხწია.

როცა ის უბედური ლაპარაკობდა, ტეტლოუმ შეამჩნივა, რომ ლოყებზედ საწყალს წყალი წურწურით ჩამოჰსდიოდა, რადგანაც სულ სველი იყო თოვლისაგან. ეხლა კი შეატყო, რომ მთხოვარის თვალში სხვა რაგი სისველეა. ცრემლი ჰსდიოდა დამჭკნარს სახეზედა. ტეტლოუს გული ამოუჯდა და გაუწოდა უბედურს ხელი.

— მადლობელი ვარ, მადლობელი, წარმოჰსთქვა მთხოვარამ, და ჩამოართო გრძნობით ხელი;. საწყალს დიდის ხნის მარტოობისა გამო დავიწყებოდა კიდეც მეგობარი მეგობარს ხელს როგორ უჭერს:—მეყოფა. მე არა მსურს, რომ ამაზედ მეტად მოგაცდინოთ თქვენ და თქვენი მეუღლე.

ამ სიტყვაზედ საწყალმა თავი დაუკრა, თუმცა როგორღაც უხერხოდ, მაგრამ ისეთის გრძნობით და გულ-

*) დოლლარი ამერიკის ფულია, ჩვენს ფულზე ერთი მანეთია, ექვს შაური და ექვსი გროში.

წრფელობით, რომ ტეტლოუსის ახალგაზრდა ცოლს გული ამოუჯდა. მერე რამდენიმე ფეხით უკან დაიწია, და თვალი კი ვერ მოაშორა ცოლ-ქმარს.

— მე ძალიან ბედნიერი ვარ, უთხრა თავდაბლად ტეტლოუმ: რომ ცოტათი მაინც თქვენი სამსახური შევიძელ:

ამის თქმაზედ თვალი შეასწრო ღვინის სარდაფს და მაშინვე დაუმატა: მაგ ფულს სასმელზედ ნუ დახარჯავთ.

— მაგაზედ ნუ შესწუხდებით, უპასუხა გლახაკმა ისეთის ნელის ხმითა, თითქო აჩრდილად იქცაო, და გასწია.

— ღამე მშვიდობისა, მიჰსძახა ტეტლოუმ.

— ღამე მშვიდობისა, განუმეორა აჩრდილმა: მე თავის დღეში არ დავივიწყებ....

ამ დროს კაბრიოლეტიც მოვიდა, ცოლ-ქმარნი ჩაჰსხდნენ და წავიდნენ.

იმ ღამეს ტეტლოუს ძალიან გვიან დაეძინა. გული ჰსტკიოდა იმ ბოგანისადმი სიბრალულითა. ამ სიბრალულს ხანდისხან ზედ დაერთოდა რაღაც გაცოფებული სასოწარკვეთილებაცა იმის მგზავსი, რომელსაცა ჰგრძნობს ხოლმე უბედური, დაშთომილი უმწედ, უნუგეშ და ცის ანაბარად. რამდენიმე დღეს შემდეგ, როცა ეს ამბავი გულიდამ გადაუვარდა კიდეც ტოტლეუს, იგი ძალა-უნებურად შევიდა ბიბლიოტეკაში წიგნებისა და გაზეთების საკითხავად. ზამთრის ღამეებში იქ მეტად ჭრელი საზოგადოება იკრიბებოდა ხოლმე.

იმ წამს, როცა ტეტლოუმ გაათავა კითხვა გაზეთებისა და გამოსვლა დააპირა, ერთმა დაგლეჯილს ტანისამოსში შეხვეულმა კაცმა მიიპყრო იმისი ყურადღება. შეკრთა ეს უმაწვილი კაცი, როცა იმ დაგლეჯილს ტანისამოსში იცნო იგი, რომელიც კარგა ხანია დავიწყებისათვის მიეცა. ეწყინა რომ ხელ-ახლად შეხვდა და ამ შეხვედრამ აუმღვრია სინიდისი....ტეტლოუ შედგა, რომ პირის-პირ არ შეჰყროდა მთხოვარას, რომელიც ამ დროს კარებისაკენ მიდიოდა. ამავე დროს შეჰნიშნა, რომ პოლიციის მოხელეს, კარებში მდგომს გუშაგად, დიდის ყურადღებით თვალი ეჭირა მთხოვარაზედ.

— აი კარგი შემთხვევა, იფიქრა ტეტლოუმ: მე ვკითხავ იცნობს თუ არა მაგ მთხოვარას.

ზორბამ, მხარ-ბეჭიანმა პოლიციის მოხელემ მოიბრუნა კისერი, როცა ტეტლოუმ მთხოვარის ვინაობა ჰკითხა.

— ვიცნობ იმას თუ არა? უპასუხა მოხელემ: რასაკვირველია, ვიცნობ იმდენად, რამდენადაც შეიძლება ამ გვარის წყალ-წაღებულების ცნობა. ეგ ბატონი აქ ყოველ დღე მოდის ხოლმე, თუ სადმე სხვაგან არ დაეთრევა ავის საქმისათვის.

— ლოთი ხომ არ არის? ჰკითხა ტეტლოუმ.

— მგონია, რომ ლოთი უნდა იყოს, წარმოჰსთქვა უგუნურად პატივცემულმა წესისა და რიგის დამცველმა: მე ეგ არსად არ შემხვედრია, თუ არ აქ. აქ არა სვავს, მაგრამ ჰსჭამს კი, ხოლმე. დიაღ, ბატონო, განაგრძო მან რაკი შეატყო, რომ მისი მსმენელი ყურადღებით უსმენს ლაპარაკსა: მაგ კაცს იმოდენად დავიწყებული აქვს ყოველივე მართებულება, რომ აქ მოდის ხოლმე საჭმელად. აქ, როგორც ხედავთ, საზდოა ჭკუისათვის და მაგ ბატონმა კი ეს ადგილი დუქნად გადააქცია. ის ჩემ თვალწინ მთელს დღეებს ატარებს აქ დიდ სიცივეებში და ერთი ფურცელი წიგნისა კი არ გადუბრუნებია თავის დღეში. მოვა ხოლმე, და ჯდება თავის დაგლეჯილის ტანისამოსით და შუადღის დროს ამოიღებს ხოლმე ჯიბიდამ რაღაც ქონსა და იცოხნება....მურტალი ცხოველია! ერთხელ მთელი ნაჭერი ქონისა გამოვარდა პირიდამ და ქაღალდი გასვარა. მემაშინ ვუთხარი, რომ აქ სიარული დაიშალოს და მეგონა მართლადაც დაიშლის მეთქი, რადგანაც ჩემი სიტყვა გულს მოხვდა და იწყინა. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ რა თვით-რჯული ხალხია მაგგვარი ხალხი—ჯანაბას მაგათი თავი! მე ძალიან ადვილად გავაბძანებდი აქედამ მაგას და ერთს ორიოდე სხვასაც, მაგრამ მე მაგოდენა მოვალეობა არა მაქვს....

— დღეს ესე ადრე რად წავიდა აქედამ? ჰკითხა ტეტლოუმ კრთომითა და თითონაც ეშინოდა ამ მომეტებულის ცნობის მოყვარეობის გამო მეც გარედ არ გამაბძანოს ამ ულმობელმა მოხელემაო.

— იმიტომ, წამოიძახა მედიდურის სახით მოხელემ: რომ მაგ ვირმა მოთმინებიდამ გამომიყვანა; მე მივედი და ვუთხარი: „ყური მიგდეთ, ჯონნი, მაგგვარად გცევა აქ არ შეიძლება. თქვენ უნდა გასვიდეთ აქედამ, თუ არა და მე თვითონ გაგიყვანთ. მე მგონია თქვენთვის უკეთესი იქმნება, რომ აქედამ უჩემოდ გაბძანდეთ.“ ეს სი-

ტუკები საკმაო იყო, რომ ის აბარგებულიყო და წაბძანებულიყო. მაშინვე აიბარგა და გასწია იქით, სადაც ჰსცხოვრებს,

— განა სად ჰსცხოვრებს? ჰკითხა ტეტლოუმ.

— გადასხნილის ცის ქვეშ.

— როგორ თუ ცის ქვეშ?

— დიაღ, ისე ცის ქვეშ, ქუჩაში. მაშ რა უყოს ჯაცმა მაგ ემმაკსა და ქაჯსა? საპყრობილეში ხომ ვერ ჩავაგდებთ.

— რასაკვირველია, უპასუხა ტეტლოუმ და მოხელეს სიტყვა მოუწონა. მაგრამ ვაი მაგ მოწონებასა!... გულის ტკივილი, სიბრალული, რომელსაც იგი ჰგრძნობდა რამდენსამე ღამეს, როცა ჰფიქრობდა იმ უბედურს კაცზედ, ხელახლად მოაწვა გულზედ. ტეტლოუ წამოვიდა იქიდამ იმ იმედით რომ დაეწევა საწყალსა, მაგრამ ხმა აღმოუღებელი, შესაბრალისი ადამიანი იგი ვეღარსად შეხვდა. ტეტლოუ მივიდა შინ გულნაკლულად.

„საპყრობილეში ხომ ვერ ჩავაგდებთ!„ ჰფიქრობდა იგი და იმეორებდა მოხელეს სიტყვას: მართალია, მართალი!... მაგრამ რა ძნელი სათქმელია ცის ქვეშ... ქუჩაში ჰსცხოვრებსო! ცოტაღა უნდა რომ აქედამაც წიტლაყი ჰკრან.... და მაშინ იგი აღარ იქნება არსად.... ვიშ! რა კარგად არის მოგონილი, რომ ქვეყანაზედ ქუჩებია.... ქუჩები რომ არ იყოს, რა უნდა გვექნა ამოდენა უბედურ ადამიანის შვილებისათვის, რომელთაც არც არა რა აქვთ და არც არა ვინ ჰყავთ. მაშინ ის უბედურები ან უნდა ჩაგვეყარა საპყრობილეში, ან უნდა ხეზედ ჩამოგვეხრჩო. ესეც კია.... ჩვენ ხომ ყველანი არა ვცხოვრებთ ქუჩაში..... რატომ? ის რად უნდა ჰსცხოვრებდეს და ეს კი არა?

იქნება საოცრად ეჩვენოს კაცსა, რომ ტეტლოუმ უეცრად ასეთი გულის ტკივილი გამოიჩინა თვისთა უბედურთა მოძმეთადმი. ბევრნი დადიან კონცერტში, ბევრს შეხვდება ხოლმე წინ წყალწაღებული და უბედური ადამიანი, მაგრამ არავის გული არა ჰსტკენია მარტო მით, რომ ერთხელ შემთხვევიათ ამისთანა ბედისაგან განწირული ადამიანი. ბედნიერად მცხოვრებთა შორის მომეტებულს ნაწილს ადრე თუ გვიან შეხვდებათ ხოლმე იმისთანა დღე, როცა მათ თვალწინ გულ გადიხსნის ხოლმე მწყდვიადი სიღრმე ადამიანის ცხოვრებისა და მაშინ იგინი თავის თავს აღარ ატყუებენ მაცდურის ოცნებითა. ეგ დღე დაუდგა ტეტლოუსაც. მას ყოველთვის, ეგონა რომ დედა-მიწა მშვენიერად მოწყობილი სადგურია და ამ ცოტას ხანში იმ ფიქრმა რომ შეიძლება შვილები ეყოლოს, სხვა თვალით დაანახვა ეს ქვეყნიერობა. სულ აურ-დაურივა ფიქრები. მაგრამ მაინც და მაინც შინ რომ მივიდა იმ ღამეს უთხრა თავის ცოლს სიამოვნებითაც და სიბრალულითაც:—მე მგონია იმ საწყალს ვეღარსად ვნახავ. შემთხვევამ ორჯელ შეგვახვედრა ერთმანეთს; მესამედ კი იმედი აღარა მაქვს.

ამაში ტეტლოუ შემცდარი იყო.

რამდენიმე დღეს შემდეგ ძალიან ციოდა და ყინულიანი დღე იყო. ამ ხანად ტეტლოუ მიდიოდა ერთს რომელიღაც ქუჩაზედ და წინ გაასწრო ერთს კაცს, ძუდად ჩაცმულს, თავიდამ ფეხამდე ამოწუწნულს. ამ კაცს რაღაც დაეკუმშა და მაგრად ეჭირა ხელში. ტეტლოუმ ალმაცერად შეხედა და იცნო თავისი მთხოვარა, რომელმაც იმ წუთს მიიტანა ხელი პირთან და მოჰკბინჩა მწვანე ვაშლი. საწყალმა, მგონი, ვერ იცნო თავისი კეთილის მყოფელი, მიდიოდა თავისთვის გულგრილად მაყურებელი გარშემო და თუ ფიქრობდა რაზედმე, ისევ თავის ვაშლზედ, რომელიც ამ წუთს შეადგენდა მხოლოობით საგანს მის ცხოვრებისას. ტეტლოუმ რამდენიმე ფეხი კიდევ წინ წადგა, მაგრამ მერმე შეიცვალა განზრახვა, მობრუნდა საწყლისაკენ და დაუწყო ლოდინი.

— სად მიდიხართ? ჰკითხა მთხოვარასა.

უბედურმა კაცმა მძიმედ აიხედა მაღლა და შეხედა ტეტლოუს და მოიკითხა. არც მის სახემ, არც მის ხმამ არა ვითარი გრძნობა არ გამოაჩინა.

— მაშ, როგორც ჰსჩანს, თქვენ მე მიცანით, ჰკითხა ხელახლად ტეტლოუმ.

— მაგას რა თქმა უნდა. მე თქვენ არ დამავიწყებიხართ.

— მაშ რატომ ხმა არ გამეცით?

— მე მეტიჩარობა არ მინდოდა და არც შემშვენის, უპასუხა უბინაომ თავდაბლად და არა პირფერობითა და სულდაბლობით.

— ამისთანა ავდარში რათა ხართ ქუჩაში? ჰკითხა მოწიწებით ტეტლოუმ: სად მიხვალთ?

— არსად.

ამ საწყალს ასეთი შეწუხებული და გათანხსირებული სახე ჰქონდა, რომ ტეტლოუს გულმა ტკივილი დაუწყო. ტეტლოუ მიხვდა, რომ იმ კონცერტის ღამის

შემდეგ საწყალი რამდენიმე ფეხით ძირს ჩამოსულა იმედის კიბიდამ.

— ამას წინად თქვენ მე მოწყალება მთხოვეთ, განაგრძო სიტყვა: ეხლა რატომ აღარ ჰქმენით ეგ.

— ოხ, მაშინ ღამე იყო, მე დღისით თავის დღეში არა ვთხოულობ.—მაგრამ... თითქო საწყალს უნდოდა კიდევ სხვა მიზეზი ეთქვა, მაგრამ შედგა ამ უკანასკნელ სიტყვაზედა. ტეტლოუ მიუხვდა გულის წადილს. ამ საწყალს იმოდენად კიდევ ჰქონდა თავის პატივი, რომ არ იკადრა ხელმეორედ თხოვნა იმის წინაშე, ვინც ერთხელ ხელი გაუმართა. პირველი მოწყალება იმოდენად დიდი ეჩვენა, რომ შიშობდა ვაი თუ მეორეს თხოვნაზედ უარი მივიღოვო და შევრცხვეო.

— მოწყალების გარდა სხვაფრივ არაფერი ღონისძიება არ არის, რომ გეშველოთ რამე? ჰკითხა ტეტლოუმ.

— არა მგონია იყოს. მე ვცდილობდი სამუშაო რამ მეშოვნა, მაგრამ ყველგან აყუდებული ქვა დამხვდა. მე დიდი ხანია აბანოში არა ვყოფილვარ და ტანისამოსიც ჩემი ისეთი ძველია ამ წუთს, რომ ვერ ვბედავ წავიდე ვისთანმე.

— ბევრგან არის ღარიბთათვის დაწესებული სახლი, და ბინა, რატომ ერთ-ერთში არ მისულხართ?

— მე მივმართე ეკკლესიას, რომლის მრევლთაგანნი მეცა ვარ, უპასუხა ბოგანამ.

— თქვენ განა ეკუთვნით რომელსამე ეკკლესიას? ჰკითხა გაკვირვებულმა ტეტლოუმ.

იგი თითქმის გაოცდა, რომ საქრისტიანო ეკკლესიის მწევრთაგანი დაეთრევა ეგრე ქუჩებში ამ უბედურის ყოფითა.

— მე ერთხელ როდესღაც ვეკუთვნოდი საქრისტიანო ეკკლესიას, უპასუხა უბედურმა იმ სახით, თითქო იგი სიღარიბეში ჩავარდაო წაერთვაო ყოველივე კუთვნილება ადამიანისა.

— ნუ თუ თქვენის ეკკლესიის მრევლი ცოტაოდენს შემწეობას მაინც ვერ მოგცემს?

— მე მივმართე იმათ და ვეღარ მიცნეს. აღარავის არ ვახსოვდი. მითხრეს მოდიო და ჩვენს გამგებელებს გამოეცხადეო. ამ სიტყვამ ფრთა მომკვეთა და სირცხვილით მეორედ აღარ მივსულვარ.

ტეტლოუ დაფიქრდა.

— წმინდა იოანეს ეკკლესიის მრევლთან კი არ გიცდიათ ბედი?

— არა.

— ისინი მგონი ღარიბებს შემწეობას აძლევენ.

ტეტლოუს უფრო ის უკვირდა, რომ ამ უბედურმა კაცმა არც ერთი სამდურავი და ჩივილი არ წარმოჰსთქვა არავისზედ. მაშინ როცა პირველად შეხვდა, მისი გულითადი სიტყვები ტეტლოუსს საეჭვოდ ეჩვენა; მაგრამ ეხლა კი მისმა სასოწარკვეთილებამ, რომელშიაც მცირედი რამ მაცდურებაც არ ერია, ტეტლოუსს ღრმად ატკინა გული.

— დიდი ხანია ამ ყოფაში ხართ? განაგრძო ტეტლოუმ მცირეს დაჩუმების შემდეგ.

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცით?

— დიაღ არ ვიცი. მე არ შემიძლიან გითხრათ, როდის აქეთია რაც ქვეშაგებში აღარ ვწოლილვარ. ზოგჯერ მიშოვნია აქა-იქ სამუშაო, ხან ერთი, ხან მეორე, მერე კი ხელახლად ისევ უქმად დავრჩომილვარ. ოხ, რა ცუდი რამ არის ხან მუშაობა, ხან უქმობა. ეგ სწორედ სნეულებაა, რომლისაგანაც კაცს იმედი აქვს თავს დავახწევ და მოვრჩებიო. დიაღ, როცა მართლა სნეული ხარ, მაშინა გაქვს ქვეშ-საგები. ამ გვარი სნეულება კი მაშინ გეწვევა, როცა სრულებით ქვეშ-საგები არა გაქვს.

ამ ლაპარაკმა ღიმი მოჰგვარა ტეტლოუსს და შეჰსცინა უბედურს გულმტკივნეულობის ღიმილითა.

— ნება მომეცით რითიმე დაგეხმაროთ, უთხრა ტეტლოუმ უმოძრაობით თავ-მობეზრებულმა: ხომ არა გნებავთ ცოტა რითიმე დანაყრდეთ?

— განა ეს ჟამი თქვენის სადილის დროა? ჰკითხა საწყალმა სიხარულით, რომელიც მაშინვე გულში მოიკლა: დიაღ... დაუმატა მან დინჯად: მე დიდის სიამოვნებით დავნაყრდები თუ კი იქნება რამ.

ტეტლოუმ მოიწვია, ორივენი ამოეფარნენ ტეტლოუსის ქოლგის ქვეშ და დაბრუნდნენ უკან. ყმაწვილი კაცი ცდილობდა ისე ევლო, რომ მისი საწყალი ამხანაგი, რომელიც ძლივს მიათრევდა ფეხებს, უკან არ დარჩომოდა.

— მართლა: თქვენი სახელი? ჰკითხა ტეტლოუმ.

— ფილიპე ერნი.

ტეტლოუ შეკრთა. თითონაც ხომ ფილიპე ერქვა და ამ შემთხვევითმა ერთგვარობამ სახელისამ უფრო მეტად მიუბრუნა გული იმ უბედურისკენ. ხოლო რადგანაც ამისთანა სეხნიის ყოლა სასიქადულოდ არ მიაჩნდა, თვითონ მარტო თავისი გვარი უთხრა: მე ტეტლოუს მეძახიან.

მერე ისევ ჰკითხა: ნუიორკში ხართ დაბადებული თუ სხვაგანა?

— ნუიორკში ვარ, უპასუხა ერნმა: იმ ქუჩაში, რომელიც თქვენ არ უნდა გეხსომებოდეთ, იმიტომ რომ ის ქუჩა დიდი ხანია აღარ არსებობს. მე იქ გამიტარებია ბედნიერად ჩემი სიყმაწვილე; ჩვენ არაფრის გაჭირვება არა გვქონია, მინამ მამა ჩემი ცოცხალი იყო. მაგრამ — ისე მოკვდა რომ არაფერი არ დაუტოვებია.

— რა ხელობის კაცი იყო?

— კამანდორი იყო.

— სასოვდაგრო ხომალდის პატრონი?

— არა, მთავრობის ხომალდზედ იყო. იმას რომ ეცოცხლა მეც ხომალდზედ სამსახურში შევიდოდი. მამა მომიკვდა და მეც იძულებულ ვიქმენ სხვა ხელობა ამომერჩია. მე ხარატობა ვისწავლე.

— რა იყო თქვენის უბედურების მიზეზი?

— საქმე ხელთ არ მოდიოდა. დავანებე თავი და საომრად წავედი. მას აქედ ერთი უბედურება მეორეს ზედ მოჰყვა. მე მტერს ჩავუვარდი ხელში ტყვედ და ექვსი თვე დამწყვდეული ვყავდით.

ამ ლაპარაკით ჩვენი მგზავრები მიუახლოვდნენ დუქანს, სადაც ფულით ყველას შეუძლიან ისადილოს. ტეტლოუმ შეიყვანა თავისი ამხანაგი ერთს ამისთანა დუქანში, რომელიც სხვაზედ უფრო ფაქიზი და წმინდა იყო.

— აქ ვისაუზმოთ, უთხრა ტეტლოუმ: თქვენ რას დალევთ? ელი გნებავთ?

— გმადლობთ. განა თქვენ ელს მიირთმევთ?

— დიაღ.

— არა მე ყავა მირჩევნია.

ტეტლოუმ მახე კარგად გაუბა, რომ შეიტყოს ლოთობს თუ არა ის უბედური. ერნმა კი არა იცოდა რა. რა სასმელიც კი დაუსახელა ტეტლოუმ, ყველაფერზედ უარი ჰსთქვა.

— მე ჯარში შევეჩვიე ყავას და ეხლა ყავა ყოველს სასმელს მირჩევნია, ჰსთქვა უბედურმა.

ჭამის დროს ერნი მოჰყვა ჯარის ამბავს. დაიწყო ლაპარაკი მასზედ თუ რა წვალება გამოიარა ტყვეობის დროს; რამდენიმე ღამე ცარიელ მიწაზედ ცის ქვეშ ვეყარენით ყველა ტყვეები ერთადაო ერთი ერთმანეთზედ მიყრილნიო, ისიც უამბო რომ კინაღამ თოფით არ დამხვრიტესო. ყველაზედ მომეტებულად კი შიმშილი მტანჯავდაო.

— რა წამს თვალს დავხუჭავდი და დავიძინებოდი, მაშინვე გემრიელი საჭმელები მომელანდებოდნენ ხოლმე, მაგრამ თვალს ავახელდი თუ არა, შიმშილი გულ-მუცელს უფრო მომეტებულად მწვავდა, ვიდრე წინად.

— მაგ წვალებას ისევ თოფით დახვრეტა ჰსჯობდა მგონი, უთხრა ტეტლოუმ.

— რას იქმოდით! თვითონ იმათაც ვერა მოეხერხებინათ რა: თვითონ ისინიც ყოველ დღე ვერ იძღებდნენ ხოლმე მუცელს. მაგრამ რა უცნაური რამ არის კაცის ბედი! აქაც, ნუიორკში იმავე შიმშილით ვიტანჯები. აქ მაინც შიმშილისაგან განთავისუფლებული უნდა იყოს კაცი, რომელსაც თავისის ქვეყნისათვის სისხლი უღვრია...

— არ შეიძლება მთავრობისაგან პენსია რამ დაგენიშნოს, ჰკითხა ტეტლოუმ.

— არა; მე სუბუქად ვიყავ დაჭრილი. აი მე რომ იქ მოვეკალით, მაშინ სხვა იქმნებოდა. მაშინ უსათუოდ პენსიას გამიჩენდნენ, თუ რომ ამღები იქმნებოდა ვინმე.

ამ ოხუჯობამ გამოაჩინა, რომ ერნი ცოტად გამოხიარულდა. იქნება ეს ამბავი საჭმელმაც მოახდინა. რა რიგის სისწრაფითა ჰსჭამდა საწყალი საჭმელს! აშკარა იყო, რომ ამ უბედურს ყოველდღე არ ეღირსებოდა ხოლმე რისამე ჭამა.

როცა სადილი გაათავეს და მედუქნეს გაუსწორდნენ, ტეტლოუმ იფიქრა, რომ სხვა რამ შემწეობაც უნდა მიჰსცეს ამ უბედურსა. ტეტლოუმ შეამცნივა, რომ ზემო ტანისამოსის ქვეშ პერანგის მაგიერ რაღაც ძონძები აქვს; წაიყვანა და უყიდა ახალი თბილი პერანგი. ამას გარდა მიჰსცა ფული კაზმისათვის და ღამის ბინისათვის და ბოლოს გამოეთხოვა და შეუკვეთა, რომ მეორეს დღეს დილაზედ ადრე მასთან მისულიყო.

(შემდეგი იქნება.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Января 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.